საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს ,,გეოაგრო", აბაშის მუნიციპალიტეტში, ანჯელის მასივის ტერიტორიაზე თავის კუთვნილ ფართში, გეგმავს სეპტიკის ტიპის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობას, რომელიც გათვლილი იქნება 20 ადამიანზე და უზრუნველყოფს ოფისის ფუქნციონირების და იქ დასაქმებული მუშა ხელის შედეგად წარმოქმნილი სამეურნეო ფეკალური და ჩამდინარე წყლების ბიოლოგიურ გაწმენდას.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის მე-10 პუნქტის, 10.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, წარმოგიდგენთ სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი - სკრინინგის ანგარიში, CD დისკი, Shape ფაილები

რატი მექვაბიშვილი

დირექტორი

09.07.19

№10149
12 07 2019
1 ფ.

574.55 25 05

შპს „გეოაგრო“

ქ. აბაშის მუნიციპალიტეტში, ანჯელის მასივის ტერიტორიაზე შპს „გეოაგროს“ კუთვნილ ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი (სეპტიკური) ნაგებობის მოწყობა

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი: ლევან ზარანდია
ტელ: 574 55 25 05

ქ. თბილისი, 2019 წელი

შესავალი

განსახილველი პროექტი ითვალისწინებს ქ. აბაშაში შპს ,,გეოაგროს“ (ს/კ **422431032)** კუთვნილ ტერიტორიაზე სეპტიკის ტიპის გამწმენდი ნაგებობის მოწყობას.

შპს ,,გეოაგრო”-ს გააჩნია მარცვლეულის საშრობი საამქრო და საოფისე ფართები ქ. აბაშაში, კერძოდ კი ანჯელის მასივის ტერიტორიაზე.

ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილ საოფისე ფართში მუდმივ შტატში მუშაობს 6 თანამშრომელი, ხოლო სეზონის დროს, მაშინ როდესაც ხდება მარცვლეული კულტურის აღება, დაახლოებით 2 თვის განმავლობაში მარცვლეულის საწარმოში და ოფისში დასაქმებულია ჯამურად 20 ადამიანი.

შპს ,,გეოაგრომ“ გადაწყვიტა, ოფისის ტერიტორიაზე მოეწყო სეპტიკის ტიპის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა, რომელიც გათვლილი იქნება 20 ადამიანზე და უზრუნველყოფს ოფისის ფუქნციონირების და იქ დასაქმებული მუშა ხელის შედეგად წარმოქმნილი სამეურნეო ფეკალური და ჩამდინარე წყლების ბიოლოგიურ გაწმენდას.

აღნიშნული გამწმენდი სისტემის მოწყობის შემდეგ, ოფისის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები გაწმენდის გარეშე არ მოხვდება ზედაპირული წყლის ობიექტში, თავიდან იქნება აცილებული ასევე გრუნტის წყლებისა და ნიადაგის დაბინძურება.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი’’-ს II დანართის მე-10 პუნქტის, 10.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის’’ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ქ. აბაშაში, შპს გეოაგროს ტერიტორიაზე გამწმენდი ნაგებობის მოწყობის მიზნით მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს ,,გეოაგრო“
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი. ვაკე-საბურთალოს რაიონში, კოსტავას ქ., №37-39, სართული 6, საოფისე ფართი 501
კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი	**422431032**
კომპანიის ხელმძღვანელი და საკონტაქტო ინფორმაცია	რატი მექვაბიშვილი ტელ: 591 02-70-70 r.meqvabishvili@gagro.ge
დაგეგმილი საქმიანობის დასახელება	სეპტიკის ტიპის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა
საქმიანობის განხორციელების ადგილდებარეობა	აბაშის რაიონი, მასივი ანჯელი, ს/კ 40.12.41.022

ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

ამ ეტაპზე აბაშის მუნიციპალიტეტის რაიონში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა არ ფუნქციონირებს, შესაბამისად არ არის ხელმისაწვდომი საკანალიზაციო ქსელით მომსახურება. ქალაქის და მისი მიმდებარე სოფლების ჩამდინარე წყლები გაუწმინდავად ჩაედინება ზედაპირული წყლების ობიექტებში და ასევე გრუნტში.

სწორედ ამიტომ, შპს გეოაგრომ გადაწყვიტა მოეწყო საკუთარი გამწმენდი სისტემა და საკუთარი ძალებით მოეგვარებინა ჩამდინარე წყლების გაწმენდის პრობლემა.

პროექტით გათვალისწინებულია ,,Eco line“-ს წარმოების სეპტიკისა და ბიოფილტრის მოწყობა. ამ გამწმენდი ნაგებობის მუშა პროცესი დაფუძნებულია ბუნებრივ პროცესებზე, რომლებიც ხდება ბიოლოგიური მასების გახრწნისას ბუნებაში. პირველ ეტაპზე ანაერობული ბაქტერიები (რომლებიც იმყოფებიან უჟანგბადო არეში) შლიან მაღალმოლეკულარულ ორგანიკას მარტივ ორგანულ ნივთიერებად. ჩვეულებრივ, ბუნებრივ პირობებში ეს პროცესი ნელა ვითარდება. "ეკოლაინ"-ის გამწმენდ ნაგებობებში, ბაქტერიებისათვის იქმნება ოპტიმალური პირობები ჩამდინარე წყლების გასაწმენდად, რაც ხელს უწყობს პროცესის მრავალჯერ დაჩქარებას.

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების გაწმენდა ხორციელდება შემდეგი სქემით. ჩამდინარე წყლების წინაწმენდა ხდება სეპტიკში, შემდეგი წმენდა კი ბიოფილტრ "САД"-ში. ჩამდინარე წყლების წმენდის მთელი ციკლი ხდება ტექნოლოგიურ მოწყობილობაში. ჩამდინარე წყლების ამ სქემით დამუშავება საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას სუფთა ტექნიკური წყალი, რომელიც შეიძლება მიმართული იქნეს საფილტრაციო ჭაში, ტრანშეაში, რელიეფზე და ა.შ.

ჩამდინარე წყლის გაწმენდის ტექნოლოგია შემდეგია: პირველ ეტაპზე ჩამდინარე წყლის ნაკადი მიემართება წინა წმენდის სეპტიკში. სეპტიკის ძირითადი დავალებაა შემოსული დაბინძურებული ნაკადის შემცირება. შესასვლელში ჩამდინარე წყლების მოძრაობის შესანელებლად დაყენებულია მექანიკური მოსასხსნელი ფილტრი, რომელიც სავსეა პულცოლანით (ვულკანური წარმოშობის ქვებით). სწორედ ის არის დალამვის ინდიკატორი. იქვე მდებარეობს კალიბრირებული ხვრელი (განშტოება), რომელიც იძლევა სითხის გადინების რეგულირების საშუალებას “პიკი დატვირთვის” დროს. ყველა ეს ელემენტი საშუალებას იძლევა სეპტიკში შეიქმნას ყველაზე მეტად ხელსაყრელი პირობები დადუღების ანაერობული პროცესების მიმდინარეობისთვის (ჩამდინარე წყლების წმენდა 65-70%-ით). ორგანული ნაერთების დაშლის პროცესების დასაჩქარებლად, ჩამდინარე წყლებში ხდება მიკროორგანიზმების სიცოცხლის უნარიანობის აქტივატორების დამატება, რომელიც ბიოლოგიური წარმოშობისაა.



სურ.#1 წინა წმენდის სეპტიკი

მეორე ეტაპი (საბოლო გაწმენდის) ხორციელდება აერობული გაწმენდის სეპტიკში. მოწყობილობის გარე კონსტრუქცია ისეთია, როგორიც ზემოთაღწერილი სეპტიკის. САД– შუაში მოთავსებულია ჩარჩოები, რომლებზეც გაჭიმულია წვრილხაოაინი POLITEX-ის ტიპის სინთეტიკური ქსოვილი, რომლის ხაოებზეც განთავსებულია აერობული მიკროორგანიზმების მრავალი კოლონია. ჰაერის მიწოდება, რომელიც საჭიროა მიკროორგანიზების სიცოცხლის უნარიანობისათვის, САД–ში ხორციელდება კომპრესორით, – დიფუზორების საშუალებით, რომლებიც დაყენებულია ქსოვილიანი ჩარჩოების ქვეშ.

გაწმენდის ტექნოლოგია ითვალისწინებს თავისუფლად მოცურავე და ტექსტილის ჩარჩოებზე მიმაგრებული ჰიდრობიონტების გამოყენებას, რომლებზეც თავსდება ბაქტერიების მრავლობითი კოლონა. დამჟავებისა და აღდგენის პროცესების რიგითობა, ჭარბი ლამის (ტალახის) წვრილდისპერსიული აერაცია, აერობულ–ანაერობული სტაბილიზაცია – ეს პროცესები უზრუნველყოფენ ჩამდინარე წყლების წმენდის მაღალ ხარისხს.



სურ.#2,3 - აერობული გაწმენდის სეპტიკი

,,Eco line"-ს სეპტიკი წარმოებულია მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენისაგან როტაციული ჩამოსხმის ტექნოლოგიით და აკმაყოფილებს საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატს ISO 9001. პროდუქციას გააჩნია დარტყმისადმი გამძლეობა, ულტრაიისფერი სხივებისადმი მდგრადობა.

1.1 პროექტით გათვალისწინებული გამწმენდი ნაგებობის ადგილმდებარეობა

დაგეგმილი სეპტიკური ტიპის გამწმენდი ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია აბაშის მუნიციპალიტეტში, ანჯელის მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს გეოაგროს კუთვნილ ტერიტორიაზე. მიწის საკადასტრო კოდია: 40.12.41.022

გამწმენდი ნაგებობის მოწყობის GPS კოორდინატებია:

#	X	Y
1	261636	4670699

სეპტიკურ გამწმენდში გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება უსახელო არხში, რომელიც გადის საპროექტო ტერიტორიის გვერდით და რომელიც უერთდება მდინარე რიონს.

გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული ჩამდინარე წყლების ჩაშვების GPS კოორდინატებია:

#	X	Y
	261638	4670688

სურ.#4 - გამწმენდი ნაგებობა და ჩაშვების წერტილი

ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტებზე

გამწმენდი ნაგებობის მოწყობის პროცესში ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი არ არსებობს. იქიდან გამომდინარე, რომ მისი მოწყობის სამუშაოები გაგრძელდება რამოდენიმე დღე და არ ითვალისიწინებს დიდი მასშტაბის სამუშაოებს.

ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა

მშენებლობის ეტაპზე, რაიმე სახის ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ხოლო ექსპლოატაციის ეტაპზე შესაძლებელია წარმოიქმნას მხოლოდ მცირე რაოდენობის ლამი, როემლიც სეპტიკიდან ამოღებული იქნება 2-3 წელიწადში ერთხელ და იქიდან გამომდინარე, რომ გამწმენდ ნაგებობაში არ იგეგმება სახიფათოობის შემცველი მასალების გაწმენდა, აღნიშნული ლამი არ იქნება სახიფათოობის შემცველი. შესაბამისად, იგი გატანილი იქნება მუნიციპალური სამსახურის მიერ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელზე, მათთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

დაგეგმილი გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია საკმაოდ არის დაშორებული დაცული ტერიტორიებიდან, შესაბამისად პროექტის დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება მინიმუმამდეა შემცირებული.

ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

ობიექტის გავლენის ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს და აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

პროექტის განხორციელება თავისი ფუნქციონირებით მცირე წვლილს შეიტანს მუნიციპალიტეტის სოციალური და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებაში.

დანართი 1 - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17127392, 20/11/2017 14:29:24

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს გეოაგრო
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	422431032
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	02/09/2014
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, კოსტავას ქ., №37-39, სართული 6, საოფისე ფართი 501

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: georgiandairy@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
შპს აბაშის მერძევეობის ფერმა (422431041)	შერწყმა	შპს გეოაგრო (422431032)	08/05/2015

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01005004570, რატი მექვაბიშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
405022149, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ქართული რძის კომპანია	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამოწანერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამოწანერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 2 - საპროექტო ტერიტორიის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

N 40.12.41.022

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882019060487 - 29/01/2019 17:52:40	30/01/2019 15:50:03

საკუთრების განყოფილება

მონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
აბაშა	სუჯუნა		
40	12	41	022

მისამართი: რაიონი აბაშა , მისიეი ანჯელი

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 60572.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**40.12.03.028;**

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015682122 , თარიღი 30/11/2015 17:47:00
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 02/12/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს საქართველოს მიწის კორპორაციას შორის 2014 წლის 01 დეკემბერს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე , დამოწმების თარიღი:30/11/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:29/12/2014 ,სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"

მესაკუთრეები:
შპს "გეობგრო" , ID ნომერი:422431032

მესაკუთრე:
შპს "გეობგრო"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882015682122** თარიღი **30/11/2015** **17:47:00**	ვალდებული: შპს "გეოიგური" 422431032; საგანი:სასოფლო სამეურნეო 60572.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი; 2014 წლის 01 დეკემბრის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების 4. 5. 6 მუხლი;
	უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება N. 141330347, დამოწმების თარიღი05/12/2014, ნოტარიუსი მ.მიდალდაძე (რეგ.ნომერი 882014645714; თარიღი 01/12/2014),
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 02/12/2015	**სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს საქართველოს მიწის კორპორაციის შორის 2014 წლის 01 დეკემბერს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, დამოწმების თარიღი30/11/2015, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგრილადერი აქციის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სანქციად მიღებისას სამემისაფლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ამავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეკრულებლია წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პას ეხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გურიფორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აეგორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გაქვს კითხვების აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეიტანეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომლებთან მჭიდრო კავშირი ქვეყნის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- აღმოჩენილ ხარვეზებსა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტაზე: info@napr.gov.ge